ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11
2024 წლის 26 აპრილი

ქ. ბორჯომი

„ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული ახალგაზრდების 2024 წლის ფინანსური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული ახალგაზრდების 2024 წლის ფინანსური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის №44 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/12/2022, 010250050.35.139.016536) და დადგენილების მესამე მუხლით დამტკიცებული დანართი №3-ის „ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული სტუდენტების და ერუდირებული ახალგაზრდების 2024 წლის ფინანსური დახმარების გაცემის წესის“ მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი ახალგაზრდების ფინანსური დახმარება

ფინანსური დახმარება ერთჯერადად გაიცეს ახალგაზრდაზე, რომელმაც 2024 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიიღო სახელმწიფო სასწავლო გრანტი:

ა) 100% გრანტი – 1000 ლარი;

ბ) 70% გრანტი – 700 ლარი;

გ) 50% გრანტი – 500 ლარი.”.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი**